პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 56 (5086)
1974 წ. 20 მარტი, ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როცა საქმე ბალანსზე მიდგა

გუშინწინ გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე წრის ბოლო ორი მატჩი.

რიგა. ადგილობრივმა არმიელებმა მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდს უმასპინძლეს. მეტოქეები საკავშირო ჩემპიონატში მანამდე უკვე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველი ბრძოლა რტი-მ 10 ქულის უპირატესობით მოიგო (93:83), მეორეში კი რიგის არმიელებმა გაიმარჯვეს — 73:72. ასე რომ, მესამე მატჩს უნდა გაერკვია, საბოლოოდ ვინ უფრო მაღლა დადგებოდა სატურნირო ცხრილში.

ამჯერად რიგელთა უპირატესობა აშკარა იყო. ტაიმი მათ 13 ქულით მოიგეს — 55:42, შეხვედრა კი საკმაოდ დიდი ანგარიშით — 107:85.

ამრიგად, რიგის არმიელებმა მეტოქეს სამიდან ორი შეხვედრა მოუგეს. თანაც მათ „გატანილი" და „მიღებული" ქულების უკეთესი ბალანსი აქვთ — 263:250. ყოველივე ამის გამო სატურნირო ცხრილში ისინი უკეთეს ადგილზე აღმოჩნდნენ.

კაუნასი. გაცილებით დაძაბული აღმოჩნდა ადგილობრივი „ჟალგირისისა" და მოსკოვის „დინამოს" შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 83:78 (41:39).

— მესამე წრის ფინიშზე ორმა მოგებამ „ჟალგირისი" VI ადგილზე გაიყვანა. მართალია, კაუნასელებმა იმდენივე ქულა დააგროვეს, რამდენიც თბილისის „დინამომ", მაგრამ ურთიერთშეხვედრათა ბალანსი მათ ოდნავ უკეთესი აღმოაჩნდათ (თბილისელებმა „ჟალგირისს" მისსავე მოედანზე 6 ქულით მოუგეს, შინ კი 7 ქულით დამარცხდნენ. მესამედ ისინი ლენინგრადის ტურის დღეებში შეხვდებიან ერთმანეთს).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 მარტისთვის

| | თ. | მ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 22 | 21 | 1983—1696 | 21 |
| „სპარტაკი" | 22 | 18 | 1697—1500 | 18 |
| „სტროიტ." | 22 | 13 | 1884—1789 | 13 |
| „დინ." (მ.) | 22 | 12 | 1787—1725 | 12 |
| „კალევი" | 22 | 11 | 1788—1721 | 11 |
| „ჟალგირისი" | 22 | 9 | 1726—1765 | 9 |
| „დინ." (თბ.) | 22 | 9 | 1678—1759 | 9 |
| ასკ (რიგა) | 22 | 6 | 1717—1889 | 6 |
| რტი | 22 | 6 | 1566—1839 | 6 |
| ასკ (კიევი) | 22 | 5 | 1658—1801 | 5 |

საკდესი მოგვითხრობს

## ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთში

### სტარტზე — ირმებით

შრომაში პირველი სპორტშიც პირველია, — ასე ამბობენ უხუცეს მეირმე ვ. ეტილიანზე კამჩატკის საბჭოთა მეურნეობა „პოლარული ვარსკვლავის" მუშა-მოსამსახურეები. მეურნეობის ცენტრალურ დასახლებაში მეირმეებმა მთელი წლის მანძილზე მიმდინარე შეჯიბრების შედეგები შეაჯამეს. აღმოჩნდა, რომ რგოლმა, რომელსაც ეტილიანი ხელმძღვანელობს, ყველას აჯობა სოციალისტურ შეჯიბრებაში. სპორტის ეროვნულ სახეობებში გამართულ სპარტაკიადაში მერგოლეურს ბადალი არ ჰყავდა კორიაკულ ჭიდაობაში.

მეირმეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ირმის მარხილებით რბოლასა და ქამანდის ტყორცნაშიც.

ცხარე ბრძოლა გაჩაღდა თოვლის „ხალიჩაზე". მიუხედავად დიდი ყინვისა, სპორტსმენები წელამდე გახდილნი გამოდიოდნენ სარბიელზე.

ირმის მარხილებით შეჯიბრებაში ყველას აჯობა ახალგაზრდა მწყემსმა ბ. როლტივირგინმა. მას გადაეცა ჩრდილოეთის საუკეთესო ჯიგიტისთვის განკუთვნილი პრიზი.

ყველა მეირმეს უნდა შეეძლოს რაც შეიძლება სწრაფად მისდოს გაქცეულ ირემს რქებზე ჩრდილოური ლასო. ჩრდილოეთის მცხოვრებნი ამ ხელოვნებას ბავშვობიდანვე ეუფლებიან. ამჯერად ამ სახეობაში ყველაზე მარჯვე აღმოჩნდა მერგოლეური ი. ეკიევი.

ვ. ჟილინი.

აიანკა.
კამჩატკის ოლქი.

### გმირთა სახელობის პრიზზე

ორმოცი წლის წინათ სტრატონავტებმა პ. ფედოსეენკომ, ა. ვასენკომ და ი. უსისკინმა უმაგალითო გმირობა ჩაიდინეს: სტრატოსტატ „ოსოავიახიმით" 22 კმ სიმაღლეზე ავიდნენ. გმირები დაიღუპნენ, მაგრამ მათი სახელები და საქმე საბჭოთა ხალხმა არ დაივიწყა. მორდვეთის მცხოვრებლებმა სტრატონავტების სახელები უწოდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ქალაქების ქუჩებსა და სკოლებს. ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ სარანსკში უკვე მეორე წელია ტარდება შეჯიბრებები ყინულზე მოტორბოლაში, რომლის მონაწილენიც ერთმანეთს ეცილებიან სტრატონავტების სახელობის პრიზს.

მორდვეთის ალკკ საოლქო კომიტეტის თაოსნობით ერთი ასეთი შეჯიბრება სულ ახლახან გაიმართა. მონაწილეებს გულთბილად მიესალმა სტრატონავტ ი. უსისკინის ძმა ევსეი. სპორტსმენებმა გულთბილი დეპეშა მიიღეს საბჭოთა კავშირის გმირისგან, მფრინავ-კოსმონავტ გ. ტიტოვისგან. კერძოდ, დეპეშაში ნათქვამია: „ჩვენ, კოსმონავტები, აღტაცებული ვართ იმ შესანიშნავი ადამიანების გმირობით, რომელთაც სტრატოსფეროსკენ გაგვიკვლიეს გზა. გვჯერა, რომ მათს მაგალითს ათასობით ჭაბუკი მიჰბაძავს, რომ სტრატონავტების მიერ დაწყებულ დიდ საქმეს — კოსმოსური ტრასების დაპყრობას — ახალგაზრდები გმირულად გააგრძელებენ.

ვუსურვებთ შეჯიბრების მონაწილეებს ნამდვილ სპორტულ ბრძოლას ყინულის ბილიკებზე, მუდამ მზადყოფნას შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის".

გამარჯვება და გარდამავალი პრიზი მოიპოვა სარანსკის პირველმა გუნდმა. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა ულიანოვსკელმა სპორტის ოსტატმა გ. კოტოვმა.

მ. ხვასტუნოვი.

სარანსკი.

### სამი წლის მანძილზე

კაუნასის იაუნუიუ ტალკინინკუს (ნორჩი თანაშემწენი) ქუჩის ჰოკეისტ ბავშვთა გუნდმა წლეულს უკვე მესამედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის გმირ ა. ჩეპონისის სახელობის თასი.

თასის გათამაშება ეწყობა კაუნასის სამრეწველო გარეუბნის შანჩიაის ეზოს გუნდებს შორის. სწორედ აქ ცხოვრობდა და ჰიტლერელებთან ბრძოლაში გმირულად დაეცა 20 წლის კომკავშირელი-იატაკქვეშელი. ახლა ბავშვებს სურთ ჩეპონისივით ძლიერნი და მამაცნი იყვნენ, რისთვისაც ადრეული ასაკიდანვე გულმოდგინედ მეცადინეობენ სპორტში. მარტო მე-20 სახლმმართველობის ტერიტორიაზე, სადაც ნორჩ თანაშემწეთა ქუჩა მდებარეობს, რვა ბავშვთა გუნდია. მათს განკარგულებაშია ექვსი საციგურაო, ინვენტარი, საუკეთესო მოედნები ჰოკეისთვის. ერთ-ერთი მოედანი კარგად განათებული და რადიოფიცირებულია. ყინულის ჩინდორზე გვიან ღამემდე არ წყდება საწვრთნელი მეცადინეობები და შეჯიბრებები. აქ ერთმანეთს ცვლიან ბავშვები და მათი მამები. ჰოკეისტთა „საშინაო" კლუბის სული და გულია ბავშვების მასწავლებელი, საფეიქრო ფაბრიკის მუშა ს. მარტიშიუსი, წარსულში კაუნასის ერთ-ერთი საუკეთესო ჰოკეისტი.

ხ. ვაინტრაუბასი.

კაუნასი.



აზერბაიჯანის სსრ. მდინარე მტკვარზე მოწყობილ ოლიმპიურ სანიჩბოსნო ბაზაზე საწვრთნელ მეცადინეობებს ატარებს სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ქვეყნის 70-ზე მეტი უძლიერესი ნიჩბოსანი ემზადება მომავალი სტარტებისთვის.

წინაა საპასუხისმგებლო შეჯიბრებები: მოსკოვის დიდი რეგატა, გდრ-ის, გფრ-ის, ჰოლანდიის, ინგლისის საერთაშორისო რეგატები, მოსკოვის საკავშირო ჩემპიონატი, აგრეთვე, მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც შვეიცარიის ქალაქ ლიუცერნში ჩატარდება სექტემბერში.

• • •

სურათზე: ევროპის მარშანდელი ჩემპიონები ორადგილიანი მესაჭიანი ნავებით ასპარეზობაში, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ვ. ეშინოვი (მენიჩბე) და ნ. ივანოვი.

ი. ხალილოვის ფოტო (საკდესი).

## ერთ საღამოს სამი მსოფლიო რეკორდი

ერევანი, 19 მარტი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). აქ გრძელდება ძალოსანთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება „მეგობრობის პრიზი".

იაპონელმა კ. ხირაიმ ქვემსუბუქი წონის ათლეტთა შორის ატაცში მსოფლიო რეკორდიც დაამყარა და ორჭიდის ჯამშიც გაიმარჯვა — 267,5 კგ. ამ წონაში უდავო ფავორიტი, მსოფლიო ჩემპიონი, თბილისელი დ. შანიძე, სამწუხაროდ, ახლა უფრო მძიმე წონითს კატეგორიაში — მსუბუქში გამოდიოდა. აქ მან 272,5 კგ დააგროვა და მხოლოდ IX ადგილის დაკავება შეძლო. გაიმარჯვა მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა, ირანელმა ნ. დეხნავიმ — 287,5 კგ.

ქვესაშუალო წონის ათლეტთა შორის ყველას აჯობა გდრ-ის წარმომადგენელმა პ. ვენცელმა — 330 კგ.

საბჭოთა ათლეტის, 25 წლის ვ. რიჟენკოვის ნამდვილი ტრიუმფით დამთავრდა საშუალო წონის ძალოსანთა შეჯიბრება. რიჟენკოვი ფიცარნაგზე გამოდიოდა მაშინ, როცა თავის მეტოქეებს ასპარეზობა დამთავრებული ჰქონდათ. მან ატაცში თანმიმდევრულად დაძლია 152,5 და 157,5 კგ. მესამე ცდაზე რიჟენკოვმა 162,5 კგ მოითხოვა, რაც 1 კილოგრამით სჯობს მისსავე მსოფლიო რეკორდს. ცდა წარმატებით დაგვირგვინდა.

რიჟენკოვმა თავის „ჩვეულებას" არ უღალატა და აკვრაში ასპარეზობა დაიწყო მაშინ, როცა სხვა მეტოქეებს ცდები ამოწურული ჰქონდათ. მან 197,5 კგ შეუკვეთა, მაგრამ პირველ ცდაზე ამაოდ დაშვრა. მეორე ცდა წარმატებით დამთავრდა, ამის შემდეგ რიჟენკოვს ორჭიდში 360 კილოგრამი დაუგროვდა და თავისივე მსოფლიო რეკორდი 2,5 კგ-ით გააუმჯობესა. სპორტსმენი ამას არ დასჯერდა და აკვრაშიც მსოფლიო რეკორდის დამყარება მოინდომა. რიჟენკოვმა 202 კგ-ზე მიიტანა იერიში, რაც ნახევარი კილოგრამით უკეთესია მის მსოფლიო რეკორდზე, და აქაც წარმატება ხვდა.

ერთ საღამოს სამი მსოფლიო რეკორდი — ეს შედეგი მოსკოველი დინამოელის საუცხოო განაცხადია სამერმისოდ.

## ოლიმპიადას — ღირსეული შეხვედრა!

მოსკოვი, 19 მარტი. როგორ დახვდნენ ღირსეულად XXII საზაფხულო ოლიმპიადის მონაწილეებსა და სტუმრებს, თუ მისი ჩატარება სსრ კავშირის დედაქალაქს დააკისრეს, — ამაზე იყო საუბარი დღეს 1980 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად მოსკოვის წამოყენების მოსამზადებელი კომიტეტის მორიგ სხდომაზე.

კომიტეტში შედიან თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები. მოხსენებებით გამოვიდნენ სამოქალაქო ავიაციის მინისტრის მოადგილე ნ. ბიკოვი, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ვ. გლინკა და სხვ.

## დაუმარცხებლად — „ავტომობილისტი" და ცსკა

ლენინგრადსა და ვოროშილოვგრადში გრძელდება ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩები.

ლენინგრადში ბოლოსწინა დღის, 18 მარტის შეხვედრები ასე დამთავრდა: „რადიოტექნიკა" (რიგა) — „დინამო" (ლენინგრადი) 3:0, „დოროჟნიკი" (ალმა-ათა)—„ლოკომოტივი" (კიევი) 3:2, „ავტომობილისტი" (ლენინგრადი) — სამედიცინო ინსტიტუტი (ოდესა) 3:0. აქ დაუმარცხებლად იბრძვის „ავტომობილისტი".

ვოროშილოვგრადში მეოთხე გამარჯვება იზეიმა ცსკა-მ: ამჯერად მან დაამარცხა მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდი — 3:1. ასეთივე ანგარიშით როსტოვის არმიელებმა სძლიეს დნეპროპეტროვსკის „ავტომობილისტს". ვოროშილოვგრადის „ზვეზდამ" მოუგო მოსკოვის „დინამოს" — 3:2. აქ ჯერჯერობით დაუმარცხებლად თამაშობენ მოსკოველი არმიელები.

## 177 მეტრზე იფრინა

პლანიცის (იუგოსლავია) ტრამპლინზე გამართულ სამდღიან საერთაშორისო შეჯიბრებაში ყველას აჯობა სახელგანთქმულმა შვეიცარიელმა „მფრინავმა მოთხილამურემ", 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში საპოროს „თეთრი ოლიმპიადის" ვერცხლის პრიზიორმა ვალტერ შტაინერმა. მაგრამ ამჯერად ყოველივე მსოფლიო რეკორდის დაუმყარებლად დამთავრდა, თუმცა შტაინერმა ძველ მიღწევას გადააჭარბა. საქმე ისაა, რომ ასპარეზობის პირველ დღეს იგი 177 მეტრზე გაფრინდა—რეკორდს „გაუსწრო", მაგრამ უკვე დაშვების შემდეგ წონასწორობა დაკარგა და ნახტომი „არასრულყოფილად" ჩაუთვალეს.

მეორე დღეს მსაჯთა კოლეგიამ დაქანების სიგრძის შემოკლება გადაწყვიტა, აქაოდა სპორტსმენთა უსაფრთხოებისთვის ვზრუნავთო. მიუხედავად ამისა, შტაინერი მაინც საუცხოოდ გადახტა — მსოფლიო რეკორდი (169 მ) გაიმეორა, მაგრამ ეს იყო მოთელვის დროს...

ტრამპლინის ძირში თავმოყრილმა 50 ათასმა მაყურებელმა სტვენით გამოხატა პროტესტი მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილების წინააღმდეგ. პლანიცის ტრამპლინი ისეა დაპროექტებული, რომ მოთხილამურეებს 180 მეტრზე შეუძლიათ გადახტომა. ამავე დროს, ეს გიგანტური ნაგებობა ერთ-ერთი ყველაზე საიმედოა მთელს მსოფლიოში.

მტაინერი შეჯიბრებისთვის საუცხოოდ იყო მომზადებული და, როგორც ჩანს, მსოფლიო მიღწევის დამყარება შეეძლო. ამჯერად მისი საუკეთესო ჩასათვლელი ნახტომი 166 მეტრს უდრიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი გასაჭირი

ძვირფასია მოსკოვური ციგა „ჩუკი და გეკი". ძვირფასია და ფასიც კარგი აქვს — 35 მანეთი. „ჩუკი და გეკი" ჯერ კიდევ შარშან, შემოდგომის პირველ დღეებში გამოჩნდა თბილისის სპორტული საქონლის მაღაზიებში და თუმცა საქართველოში ჯერ თოვლი არ იყო, უმალვე გაქრა. იმ ხულწასულებში, ვინც მომხიბლავი ციგის ცდუნებას ვერ გაუძლო, მეც აღმოვჩნდი. ერთი სული მქონდა, როდის გამოვცდიდი იშვიათ ციგას, რომელიც სპორტული საქონლის მაღაზია „დინამოში" შევიძინე.

და აი, ხმა დაირხა, ბაკურიანში ხვავრიელად მოთოვაო. ციგიანად უმალ „თეთრ მარგალიტს" ვესტუმრე და გახარებულმა ერთ-ერთი მთის ფერდობს მივაშურე.

— შეხედეთ, ციგა თხილამურებზე! — წამოიძახა ერთმა მოციგავემ.

— უყურე, საჭე და მუხრუჭებიც აქვს! — დაამატა მეორემ.

— რა რბილი სავარძელი აქვს! — დასძინა მესამემ.

— მშვენიერია, დიდებულია! — აღმოხდა მეოთხეს.

როგორც იქნა, ავაღწიე „მწვერვალზე".

კიდევ ერთხელ მოვსინჯე მუხრუჭები, პირჯვარი გადავიწერე და...

— ახლა კი გაფრინდება, — თქვა ერთმა.

— თავზე ხელაღებულია, — დაუმატა მეორემ.

თქვენც არ მომიკვდეთ: ადგილიდანაც ვერ დავიძარი!

ერთ ყმაწვილს ვთხოვე, მიბიძგე-მეთქი. როგორც იქნა, ციგა დაიძრა და 3-4 მეტრის შემდეგ ისევ... გაჩერდა. ჩემი შემყურე გოგო-ბიჭები სიცილით იგუდებოდნენ. განაწამებმა, შერცხვენილმა, რაც ძალი და ღონე მქონდა, ციგას ფეხი ვკარი, სადღაც რომ გადაკარგულიყო, თვალით აღარ დამენახა. მაგრამ იგი 6-7 მეტრზე ჩაღოლდა და გაჯიუტებული სახედარივით გაჩერდა. გაოგნებული შევყურებდი ჩემს ბედოვლათ ციგას და მაშინღა შევამჩნიე, რომ ერთი თხილამური დასავლეთისკენ იწევდა, მეორე კი სამხრეთს უმიზნებდა.

ჩემს მარცხნივ და მარჯვნივ კი ქარიშხალივით დაქროდნენ გოგო-ბიჭები თავისი ხელით გაკეთებული უბრალო ციგებით. მე ჩემი „კომფორტული" ციგა წამოვიკიდე და ფეხით ჩავუყევი ბარში მიმავალ გზას.

მას შემდეგ ატალახებული მაქვს „დინამოს" ზღურბლი. როცა ნოქარს ჩემი გასაჭირი ავუხსენი, მან მაღაზიის ეკონომისტთან გამგზავნა. ეკონომისტმა დირექტორთან მისვლა მირჩია. ამ უკანასკნელმა კი თავაზიანი ღიმილით საქონელმცოდნეებთან გამისტუმრა. მეც ვტრიალებ ციბრუტივით ამ მოჯადოებულ წრეში.

რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე!? მკითხველო, იქნებ თქვენ მაინც მირჩიოთ რამე!

ა. ბურასაშვილი.



სსრ კავშირის თასზე



# შემდეგი მეტოქეა „ჩერნომორეცი"

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 18 მარტი.

„დინამო" (თბილისი) — „პამირი" (დუშანბე) 3:1 (2:0).

„დინამო": გოგოშიძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, მუჯირი, მჭედლიშვილი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია (ლ. ნოდია), ყიფიანი.

„პამირი": კარასიოვი, სალიხოვი, ჩერევჩენკო, კირილენკო, შენოგინი, ფომიჩოვი, აზამოვი, გულიამჰაიდაროვი, როდიონოვი, პოგორელოვი, პეტროსოვი.

მსაჯი ი. ბალიკინი (დნეპროპეტროვსკი).

სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩი დუშანბეში ადგილობრივ „პამირსა" და თბილისის „დინამოს" შორის, როგორც იცით, დამთავრდა ფრედ — 1:1. ამასთან, თუ ზოგიერთ სარეცენზიო წერილს დავუჯერებთ, მასპინძლებს შეეძლოთ უკეთესი შედეგითაც დაემთავრებინათ შეხვედრა. უკეთესი შედეგით, ესე იგი მოეგოთ, ვთქვათ, მინიმალური ანგარიშით.

გასაკვირი აქ არაფერია. ფეხბურთში მოულოდნელობა, რამდენიც გნებავთ, იმდენია, მით უმეტეს, თასის გათამაშებაში. აქ დაუწერელი კანონები მეფობენ.

მაგრამ 18 მარტის განმეორებით მატჩზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს: იგი თითქმის თავიდან ბოლომდე თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. თუ ანგარიშზე ვილაპარაკებთ, 3:1 ცოტაცაა უმაღლესი ლიგის გუნდისთვის, რომელიც ასეთი დიდი ტერიტორიული უპირატესობით თამაშობდა რანგით დაბალ მეტოქესთან. დინამოელებმა იერიშით დაიწყეს თამაში და „პამირის" კარისკენ რამდენიმეჯერ დაარტყეს, მათ შორის — ხურცილავამ და ძოძუაშვილმაც. მე-8 წუთზე კი ანგარიში გაიხსნა: გუცაევმა მოაწოდა კუთხური, ბურთმა იმოძრავა რამდენიმე თბილისელს შორის და ბოლოს ყიფიანთან მოხვდა. მეკარე კარასიოვი სწორ პოზიციაში არ იდგა, რაც დაუყოვნებლივ გამოიყენა თბილისელთა თავდამსხმელმა.

გავიდა კიდევ დაახლოებით ამდენივე ხანი და სტუმრების კართან შექმნილი სახიფათო მომენტის დროს გაუფრთხილებლად ითამაშა სალიხოვმა. პენალტი. ყიფიანმა ზუსტად დაარტყა — 2:0.

ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: დინამოელები ორი მატჩის ჯამში საკმაო განსხვავებით დაწინაურდნენ, თამაში მათი უპირატესობით მიმდინარეობდა, „ჰორიზონტზე" საშიში არაფერი ჩანდა, ამიტომ გუნდს უფლება ჰქონდა ფსიქოლოგიური შებოჭილობის გარეშე, თავისუფლად და თამამად ეთამაშა. მცველები საიმედოდ მოქმედებდნენ თავიანთს ზონაში, თუმცა აქ დროდადრო სახიფათოდ იჭრებოდა სტუმრების „დუეტი" — პოგორელოვი და როდიონოვი (ამ უკანასკნელმა ძელსაც კი მოახვედრა ბურთი), ნახევარმცველები მტკიცედ ფლობდნენ ინიციატივას მინდვრის შუაგულში, თავდასხმაში განსაკუთრებით სახიფათონი იყვნენ გუცაევი და ყიფიანი.

ერთი სიტყვით, პირველი ტაიმის მიხედვით საპრეტენზიო ბევრი არაფერი გვაქვს.

მაგრამ შესვენების შემდეგ თბილისელთა თამაშში კვლავ იჩინა თავი ძველმა სენმა — ბურთის ზედმეტმა, გაუმართლებელმა ტარებამ. იყო ეს საჭირო თუ არა, დინამოელები შუა მინდორში ყოვნდებოდნენ, აგვიანებდნენ, თავდამსხმელთა უბურთო მანევრები ასევე უბურთოდ მთავრდებოდა, ვინაიდან გადაცემები იშვიათობად იქცა და „პამირმაც" სული მოითქვა. შემთხვევითი არაა, რომ „დინამომ" პირველი ტაიმი მოიგო (2:0), მეორე კი ფრედ დაამთავრა (1:1). ეს ანგარიში ზუსტად შეესატყვისება ტაიმების მსვლელობას. საქმე უნდა გამოსწორებულიყო მას შემდეგ, რაც 81-ე წუთზე ყიფიანმა ფლანგიდან გაიტანა მესამე ბურთი, მაგრამ ასე არ მოხდა და დუშანბელებს საშუალება მიეცათ გაეტანათ ერთი საპასუხო გოლი აზამოვისა და პეტროსოვის კომბინაციის შემდეგ.

თბილისის „დინამოს" ორ მატჩში „პამირთან" თავი გამოიჩინა ყიფიანმა: ოთხივე გოლი მან გაიტანა. ახლა ჩვენი გუნდის მეტოქე მერვედფინალში ოდესის „ჩერნომორეცია", თბილისელები პირველ მატჩს 6 აპრილს ითამაშებენ ოდესაში, ხოლო მეორეს — 27 მაისს შინ.

ზ. ქორქია.

• • •

სურათზე: დ. ყიფიანს მესამე ბურთი გააქვს „პამირის" კარში.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# მერვედფინალში გავიდნენ

„სპარტაკი" (მოსკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი), „არარატი" (ერევანი) — „ნეფთჩი" (ბაქო), „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „დინამო" (თბილისი), „დინამო" (მოსკოვი) — „ზენიტი" (ლენინგრადი), „შახტიორი" (დონეცკი) — ასკ (დონის როსტოვი) — აი, წყვილები, რომლებიც სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალში შეხვდებიან ერთმანეთს. „დუეტების" შემადგენლობა დადგინდა 18 მარტის მატჩებში, გუშინ კი გაიმართა კიდევ ორი შეხვედრა: „დინამო" (მინსკი) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი), ცსკა — „სპარტაკი" (ნალჩიკი). მათი მეტოქეები უკვე ცნობილი არიან: შესაბამისად, „ქაირათი" (ალმა-ათა) და „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი).

18 მარტს მოსკოვის დინამოელებმა სოხუმში კოზლოვის მიერ კარგად გამოყენებული პენალტის წყალობით მოუგეს ლიპეცკის „მეტალურგს" — 1:0. ოდესის „ჩერნომორეცმა" შინ ანგარიშით 3:0 დაამარცხა კიშინიოვის „ნისტრუ". ტაშკენტის „ფახთაქორმა" ტაშკენტში მხოლოდ ანგარიშით 2:1 აიღო რევანში ბაქოს „ნეფთჩისთან" (პირველი მატჩი მან წააგო — 0:3). „ქაირათმა" სოჭში მოუგო „ტავრიას" — 1:0, მაგრამ რახან სიმფეროპოლში „ტავრიასთან" წაგებული ჰქონდა ანგარიშით 1:2, შემდგომ თამაშებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

120 წუთს გაგრძელდა მატჩი დონის როსტოვში, სადაც ადგილობრივმა არმიელებმა ლვოვის „კარპატისთან" ითამაშეს. ვინაიდან ორი მატჩის ჯამში საერთო ანგარიში გახდა 1:1, საჭირო შეიქნა დამატებითი დროის დანიშვნა. მან გამარჯვება მოუტანა მასპინძლებს, რომლებმაც შეძლეს გადამწყვეტი ბურთის გატანა.

# მეთვრამეტე, ტრადიციული...

## I ადგილზე — სოხუმელი მოჭიდავეები ვ. მარშანია და დ. ბაღათელია

კიშინიოვში ჩატარდა ი. ზაიკინის სახელობის ტრადიციული, რიგით მე-18 საკავშირო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ვოლგისპირელი გოლიათის მემორიალში 44 ქალაქის 361 სპორტსმენი მონაწილეობდა. ეს სარეკორდო ციფრია. დაძაბული სამდღიანი ბრძოლის შემდეგ სამახსოვრო მედლები, რომლებზეც სახელგანთქმული რუსი მოჭიდავის სახეა ამოკვეთილი, მიიღეს შემდეგმა მონაწილეებმა: ნ. დოლოტონმა (მოლდავეთი), ფ. კუზნეცოვმა (ხმელნიცკი), დ. ზახაროვმა, ა. ზერამ, ა. არისტოვმა (ყველა — მოლდავეთი), ბ. ფომიჩენკომ (ლენინგრადი), ვ. შილაიმ (მინსკი), ვ. მარშანიამ (სოხუმი), ე. მელიქიანმა (ერევანი), დ. ბაღათელიამ (სოხუმი).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მოლდავეთის სპორტსმენებმა. II ადგილი დაიკავეს ლენინგრადელებმა, III — მინსკელებმა. ტურნირის კიდევ ერთი სასიხარულო შედეგია სსრ კავშირის რვა ახალი სპორტის ოსტატის დაბადება.

— ტურნირი „მოწინავე გამოცდილების" გაცვლა-გამოცვლის თავისებურ ლაბორატორიად იქცა, — უთხრა საქდესის კორესპონდენტს ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ა. მედვედმა, რომელიც ახლა ბელორუსიელ სპორტსმენთა მწვრთნელია. — მოჭიდავეებმა და მწვრთნელებმა აქ თავიანთი მომავალი მეტოქეების მთელი „არსენალი" ნახეს. ეს შეჯიბრება მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის გამოცდის თვალსაზრისითაც. მე მომეწონა ესტონელი მოჭიდავე აინ მიტუსი. იგი, მართალია, მეორე ადგილზე დარჩა, მაგრამ ტექნიკურად საუცხოოდ იყო მომზადებული. ამ სპორტსმენის „ხელწერაში" ჭიდაობის სხვადასხვა საბჭოური სტილის კარგი სინთეზი ჩანს. სპორტსმენებში ამ თვისებების გამომუშავებას ძალიან უწყობს ხელს ასეთი ტურნირები, სადაც სხვადასხვა სპორტული სკოლის წარმომადგენლები ხვდებიან ერთმანეთს.

გ. ნოვოსადიუკი.
(საქდესის კორ.).

კიშინიოვი.

# 2-2 ქულა აქვთ

ვარშავა, 18 მარტი. უეფა-ს ჭაბუკთა ტურნირის შესარჩევ მატჩში პოლონეთის ნაკრებმა თავის დედაქალაქში უმასპინძლა ჩეხოსლოვაკიის გუნდს და წააგო ანგარიშით 0:2. მანამდე ამ ჯგუფში სსრ კავშირის ნაკრებს ანგარიშით 1:0 დამარცხებული ჰყავდა ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელები.

ამრიგად, ჯგუფის სამივე მონაწილეს დაგროვილი აქვს 2-2 ქულა. 24 მარტს საბჭოთა ფეხბურთელები უჟგოროდში შეხვდებიან პოლონეთის ნაკრებს.

# ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

## ჩეხოსლოვაკია

18 ტურის შემდეგ გათამაშების სათავეში ჩაუდგა პრაღის „დუკლა", რომელმაც 24 ქულა დააგროვა. მორიგ ტურში მან მინიმალური ანგარიშით (1:0) სძლია პლზენის „შკოდას".

II ადგილზე მყოფ ოსტრავის „ბანიკსაც" 24 ქულა აქვს, მაგრამ პრაღელები გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი ბალანსის წყალობით ლიდერობენ.




# შემგუებლები

ვ. ივანოვი

... ხდება ხოლმე, ეუბნები მოწიფულ, უკვე ჭკუაში ჩავარდნილ ბიჭს: „გამაგებინე ერთი, რატომ არ გინდა იმუშაო ან ვარჯიშზე, ან მატჩების დროს? ნიჭიერი ხარ, ბევრს მიაღწევ. შენ ნაკრებშიც შეძლებდი თამაშს, მაგრამ მინდორზე იმის ნახევარსაც არ აკეთებ, რაც გევალება".

პასუხად კი სულ ერთი და იგივე ვესმის: „უკმაყოფილო თუ ხართ, დამითხოვეთ გუნდიდან".

დათხოვნა რას მიქვია! ჩემი ნება რომ იყოს, სულ კისრისტეხით გავაგდებდი და ისე მივუჯახუნებდი კარს, რომ ჭერი ჩამოინგრეოდა. მაგრამ ამის მაგიერ ხმადაბლა, წყნარად ვეუბნები: „კარგი, კარგი, ნუ ჩქარობ, მოიფიქრე. სხვა დროს ვილაპარაკოთ ამ თემაზე", იმიტომ ვეუბნები, რომ მოთამაშეები, საშუალო ფეხბურთელებიც კი, უბრალოდ, კვალიფიცირებულნი, აღრიცხვაზე გვყავს. წავლენ და კაცმა არ იცის, გამოჩნდება თუ არა მათი შემცვლელი.

მაგრამ, ფეხბურთს რომ ასე უყურებს კაცი, ნეტავ ის სად უნდა წავიდეს?

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 42, 45, 46, 47.

ჩემი აზრით, სწორედ აქაა ძაღლის თავი დამარხული, სწორედ აქ უნდა ვეძიოთ პასუხი მრავალ შეკითხვაზე.

დუბლიორთა შემადგენლობაში ორი სულ ახალგაზრდა ბიჭი გვყავდა. „ტორპედოს" მოსამზადებელი ჯგუფი ახალი დამთავრებული ჰქონდათ. დუბლიორებშიც კი ათასში ერთხელ ათამაშებდნენ. ჯერ არც იცოდნენ რიგიანად არაფერი, რასაც ფეხბურთელი მინდორზე უნდა აკეთებდეს. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ორივე გაქრა. ზუსტად ისე მოხდა, როგორც დეტექტიურ ფილმში. გაიგე, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, კომისარი მეგრეც ვერაფერს გიშველის! ჩვენ, მართალია, მეგრე არ დაგვჭირვებია. შინაურები არ ღელავდნენ და მივხვდით, რომ ბიჭების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრებოდა, ჩვენთვის კი, მიუხედავად მოთამაშეთა ასეთი დეფიციტისა, მათი დაკარგვა დიდი დანაკლისი არ იყო.

მალე ორივე ლტოლვილის ამბავი გავიგეთ. ერთი ზაპოროჟიეში დასახლებულა, მეორე კი — ხაბაროვსკში. იქაურ ინსტიტუტებში სწავლობენ, ოსტატთა გუნდებში თამაშობენ. მიიღეს, მიუალერსეს, ბინების მიღებაში დაეხმარნენ.

რა გამოვა ამ ბიჭებისგან, არ ვიცი. არ მინდა, ავის წინასწარმეტყველი ვიყო, მაგრამ ვფიქრობ, რომ ხეირიანი არაფერი. ფეხბურთში იოლი ცხოვრების დევნას ჯერ არავისთვის მოუტანია წარმატება. ასეა მოწყობილი ეს თამაში.

თუმცა, მე რატომ უნდა ვასწავლო ჭკუა სრულწლოვან ხალხს? ბავშვები არ არიან, ყველაფერი ესმით. თვითონ იციან თავისი საქმე, ცხოვრების გზას სხვა ვერავინ ამოურჩევთ. ამ შემთხვევაში მე სხვა რამე ბევრად უფრო მაღელვებს.

შემგუებლები მარტო სპორტში კი არა, ყველგან არიან. მშრომელი და ენთუზიასტი ხალხის გვერდით თავისთვის თბილ ბუდეებს იკეთებენ ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი გამოჰგლიჯონ ცხოვრებას და სანაცვლოდ რაც შეიძლება ნაკლები მისცენ. ასეთ ხალხს უდიდესი ზიანი მოაქვს. ისინი ცუდ მაგალითს აძლევენ სხვებს და თავიანთ მორევში ითრევენ სუსტებს, ისინი ძირს უთხრიან საქმეს, რომელსაც მისწებებიან, თავიანთ გარშემო უსაქმურობის ატმოსფეროს ქმნიან. ფეხბურთი გამონაკლისი არ არის. ფეხბურთშიც არიან ასეთი ადამიანები.

რამდენადაც ვიცი, ჩემი და ჩემი წინამორბედების დროს ფეხბურთში შემგუებლობის სენი ასე არ იყო გავრცელებული. ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე კი ჩვენ, ჩვენდა უნებურად, ჩვენივე საქციელის დამღუპველი შედეგის გაუთვალისწინებლად, შევქმენით ნოყიერი ნიადაგი, სადაც ეს სენი კიდევ უფრო აყვავდა და გაიფურჩქნა. ეს საკვები ნიადაგია უზარმაზარი, გიგანტურად გაბერილი ოსტატთა გუნდების წრე. უკეთილშობილესი ზრახვების ხელმძღვანელობით, რესპუბლიკების, დიდი ქალაქების, მსხვილი ქარხნების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, ყოველ ნაბიჯზე დაიწყეს ოსტატთა გუნდების ჩამოყალიბება, და არა უბრალოდ ოსტატთა, არამედ „ა" კლასის ოსტატთა გუნდებისა.

კიდევ რა უშავს, ეს რომ ბუნებრივი პროცესი ყოფილიყო. ვთქვათ „ა" კლასს ვერ დაეტია ყველა ძლიერი გუნდი, ვერ უზრუნველყო შეჯიბრებებში ყველა კარგი ფეხბურთელის მონაწილეობა. მაგრამ ჩვენს ფეხბურთში მსგავსიც კი არაფერი მომხდარა. ჩვენს 14-16 გუნდს შორისაც კი ყველა ტოლფასოვანი როდი იყო. მე არ ვამბობ ერთნაირად ძლიერი-მეთქი — ასეთი რამ სპორტში არ ხდება. მე ისეთ გუნდებზე ვამბობ, თავიანთი ხელწერა, თავიანთი ტრადიციები, თავიანთი სახე რომ ჰქონდათ.

კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი" მოსკოვის „დინამოსავით" ძლიერი არასოდეს ყოფილა, მაგრამ მისი თავისებური და თვითმყოფი თამაში რომელიმე სხვა გუნდის თამაშში არავის აერეოდა. იგივე შეიძლება ითქვას „ზენიტზეც", რომელმაც გაჭირვებაც ბევრი გადაიტანა და დალხინებაც, მაგრამ მუდამ ფეხბურთის ლენინგრადული სკოლის წარმომადგენლად რჩებოდა (ახლანდელმა გულშემატკივრებმა და ახალგაზრდა ფეხბურთელებმა არც კი იციან, რა არის ეს ლენინგრადული სკოლა). „ზენიტიცა" და „კრილია სოვეტოვიც" ჩვენი საფეხბურთო ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. უიმათოდ ეს ცხოვრება უთუოდ დაკარგავდა რაღაც მნიშვნელოვანს, უიმათოდ ჩვენი ფეხბურთის სურათი სრული არ იქნებოდა.

მე ამ გუნდებზე როდი მაქვს საუბარი. მე ვლაპარაკობ სხვა გუნდებზე, რომელთა სახელია ლეგიონი და რომლებიც, უკლებლივ ყველანი, ერთი სახისა არიან, უფრო ზუსტად, ერთნაირად უსახურნი.

და აი, ამ გუნდების რიცხვმა თანდათან დაიწყო ზრდა. იზრდებოდა, იზრდებოდა და მალე ასტრონომიულ ციფრებს მიაღწია. ჩვენ ვთამაშობდით ჩემპიონატში, რომელშიც 16 გუნდი გამოდიოდა, ხოლო ორიოდე წლის შემდეგ მათმა რიცხვმა 24-ს მიაღწია. ამ გუნდებს აერთიანებდნენ, შემდეგ შლიდნენ, ისევ აერთიანებდნენ ჯგუფებად, ყოფდნენ ორ ლიგად. ქვეყნის ჩემპიონატი უამრავ საფეხურად იყოფოდა. გარდა უმაღლესისა, გაჩნდა „ა" კლასის პირველი და მეორე ლიგები. ეს კი უკვე ასზე მეტი გუნდია, რომელთაგანაც ყველას ძირითადი შემადგენლობა და დუბლიორები ჰყავს. ესე იგი, თითოეულ გუნდში ორ ათეულზე მეტი მოთამაშეა.

მაგრამ როგორი მოთამაშეები? ხარისხზე ფიქრი მწვრთნელებს აღარ უხდებოდათ — ოღონდ შეევსოთ უზარმაზარი ნაპრალები გუნდების შემადგენლობაში და, სულ ერთია, როგორი მოთამაშეები ეყოლებოდათ. და დაიწყო დიდი საფეხბურთო გადასახლება. ჯერ კიდევ გუშინ მწვრთნელს შეეძლო თავისი მოთამაშისთვის ეთქვა: „სვამ, ეწევი, ზარმაცობ, არ გინდა მინდორზე ტაქტიკური დავალებების შესრულება? ნახვამდის!" და კარზე მიეთითებინა. ეს მუქარა მყისვე იმოქმედებდა.

ახლა მწვრთნელი ამის თქმას ვერ გაბედავს, რადგან მყისვე მიიღებს პასუხს: „არ გინდათ შეურიგდეთ ჩემს ჩვევებს, ნუ გინდათ. სხვაგან მოუთმენლად მელიან".

და მართალიცაა — ელიან. ხოლო მწვრთნელს, რომელიც თავს ესხმის თავისი აღსაზრდელის „პიროვნების თავისუფლებას", გატეხილი ვარცლი რჩება ხელში.

ეს „ა" კლასის ხელოვნური გაფართოების მორალური დანაკარგები გახლავთ. მაგრამ ხდება ხოლმე, რომ დანაკარგს რაიმე შენაძენი ანაზღაურებს. იქნებ ახლაც ასე მოხდა? არა, ჩვენ ვერ ავინაზღაურეთ დანაკარგი, თუმცა ამითაც კი ვერ გავამართლებდით მომხდარს: მორალური დანაკლისი გამოუსწორებელია.

აი, ასე ცხოვრობს ჩვენი უზარმაზარი „ა" კლასი. მაგრამ კიევის, მოსკოვისა და თბილისის „დინამოს" გუნდები, ცსკა, „ტორპედო", „სპარტაკი", „ნეფთჩი" და „არარატი" ხომ უწინაც იყვნენ, და ახლა უფრო უკეთესნი, უფრო ძლიერნი და საინტერესონი მაინც ვერ გახდნენ. ალბათ, უფრო პირიქით მოხდა: მრავალი წლის მანძილზე უფერულ, ერთნაირ გუნდებთან კავშირში მათაც გაუხუნდათ საღებავები. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ასეა მოწყობილი სპორტი: მძაფრი მეტოქეობის გარეშე პროგრესი წარმოუდგენელია. ზუსტად ისეა, როგორც მრავალდღიან ველორბოლაში. მარტო შორს ვერ წახვალ. ერთი ვინმე წინ გაიჭრება, [illegible] მეწე აუცილებლად [illegible] ტემპს [illegible] უნდა, უცდის, როდის შთანთქავს დამარცხებული კოლონა.

ასე იყო იმ წლების ფეხბურთშიც, ძველი ლიდერებით.

ახალი კი ვინ გამოჩნდა? ვიხსენებ გუნდების სახელებს, რომლებიც უცებ გაიელვებდნენ, გაქრებოდნენ და ისევ ზევით ამოტივტივდებოდნენ, ვიგონებ თამაშს სხვა გუნდებისას, რომლებმაც ფეხი უფრო მოიკიდეს. ყველას ჰქონდა აღმაფრენის ხანა, ყველას მოუპოვებია გამარჯვება ძველ ბინადრებთან, ერთხელ მაინც ყველას მოუხერხებია ჩემპიონატის ცხრილში კარგ ადგილზე გასვლა, მაგრამ წარმოთქვამ გუნებაში ასეთი გუნდის სახელს და არ შეგიძლია დახატო მისი პორტრეტი, არ შეგიძლია ზოგადად მაინც მოხაზო მისი თამაშის კონტურები. საკუთარი სახე, საკუთარი ხელწერა არა აქვს. ესე იგი, თუნდაც სამგზის პრიზიორი იყოს, ჩვენს ფეხბურთში ამ გუნდს თავისი ადგილი არ დაუკავებია.

რა გინდა ქნა, როგორ გინდა მოიქცე? ბოლო წლებში თითქოს გონს მოვედით — უმაღლესი ლიგის შემადგენლობა 16 გუნდამდე შემცირდა. ჩვენ უკვე ვამბობთ, რომ თანდათან ყველაფერი კალაპოტში დგება: ჩემპიონატიც ისევ ნორმალური გახდა, გუნდებიც ისევ ორ წრედ თამაშობენ. მაგრამ ყოველივე ამაში თავის მოტყუებაც ბევრია. სურვილს სინამდვილედ ვაცხადებთ, ხოლო სანახევრო რეფორმას — რევოლუციად. უმაღლესის გარდა, დარჩა პირველი და მეორე ლიგებიც თავისი დუბლიორებითა და შორეული მოგზაურობებით, საზღვარგარეთული ტურნეებით, ერთი სიტყვით, „ა" კლასის ყველა პრივილეგიით. არადა, სწორედ ეს პრივილეგიები ქმნის ნოყიერ ნიადაგს იმ უფერულობისთვის, რომელიც ხანგრძლივი ავადმყოფობის მსგავსად, მთელ ორგანიზმს ასუსტებს, კუნთებს აუძლურებს და ანემიურს ხდის, ჩვენი ფეხბურთის სხეულში იღვრება.

ვწერ, მერე თავიდან ვკითხულობ ამ სტრიქონებს და თავს საგანგებო შეკითხვას ვუსვამ: იქნებ შენა ხარ ბუზღუნა, ვალენტინ ივანოვო? ბოლოს და ბოლოს, რა გახდა, ყველაფრით უკმაყოფილო როგორა ხარ? არც ბავშვთა ფეხბურთი მოგწონს, არც „ა" კლასი მოგდის თვალში... იქნებ ისიც საკამათოდ მიგაჩნია, რომ საბჭოთა ფეხბურთის დიდი წარმატებები საყოველთაოდ აღიარებულია? ფეხბურთი ერთ-ერთი იმ იშვიათ სახეობათაგანია, რომელიც უცხოელ პროფესიონალებთან მუდმივ შეჯიბრებაში ჩაება და ამ ბრძოლაში უკან არ იხევს, აიძულებს პროფესიონალებს ანგარიში გაუწიონ, პატივისცემით მოეპყრონ, ემინოდეთ მისი. ჩვენი წარმატებები სტაბილურია. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში არ ყოფილა შემთხვევა, ფინალში არ გავსულიყავით. ჩვენს ანგარიშზეა გამარჯვებები ინგლისის, უნგრეთის, იტალიის, ესპანეთის, არგენტინის ნაკრებ გუნდებთან, მსოფლიო ფეხბურთის ყველა გრანდთან, ბრაზილიელთა გარდა... ბებრული ბუზღუნი ხომ არ დაგჩემდა? იქნებ შენში იმ უსიამოვნო კატეგორიის ხალხის გულის გამაწვრილებელი ხმა ლაპარაკობს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათ დროს გოგონებიც უფრო ლამაზები იყვნენ, პროდუქტებიც უფრო გემრიელი გამოდიოდა, ჰავაც უკეთესი იყო, „ახლანდელი ახალგაზრდობა კი..."

მე ბევრი ვიფიქრე ამაზე და, როგორც ხედავთ, დაწერილი არ წავშალე. მართალია, ჩვენი ფეხბურთი ნამდვილი დევგმირია. სწორედ დევგმირი, და არა თიხის ფეხებზე შემდგარი გოლიათი. მას მძლავრ მუხასავითა აქვს ფესვები გადგმული. სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ პასუხები ბევრ წინააღმდეგობაზე. იგი ისე მყარად დგას დედამიწაზე, რომ ვერავინ და ვერაფერი ვერ შეძლებს მოარყიოს, ჯანი გაუტეხოს.

მაგონდება 50-ანი წლების დამდეგი, ის დრო, როცა ფეხბურთის სარბიელზე გამოვედი, ძნელი პერიოდი ჰელსინკის ოლიმპიადაში დამარცხების შემდეგ. არ ვიცი, სხვა ვინ გაუძლებდა ასეთ მარცხს, ასე მალე სხვა ვინ აღდგებოდა და გონს მოვიდოდა. მაგრამ გავიდა სულ სამიოდე წელი და ოლიმპიური ჩემპიონები გავხდით. გავიდა შვიდი წელი და ევროპის თასი მოვიპოვეთ. ხოლო ადგილები, რომლებიც თითქოს სულ ახლახან ეკავათ შეუცვლელ ბობროვსა და ბაშაშკინს, ბესკოვსა და ტროფიმოვს, ხომიჩსა და ნიკანოროვს, ანთაძესა და ღოღობერიძეს, სულ მალე დაიკავეს ახალგაზრდა, ნიჭიერმა ფეხბურთელებმა. და არა მხოლოდ დაიკავეს, არამედ ყოველ ადგილს ორ-სამი სრულუფლებიანი პრეტენდენტიც ჰყავდა.

აი, როგორია ჩვენი ფეხბურთი! მაგრამ საჭიროა თუ არა მისი ფესვების სიმძლავრისა და ჯანის სიმაგრის გაუთავებელი გამოცდა? რასაკვირველია, იგი ყველანაირ ვაი-ვაგლახს გაუძლებს, მაგრამ ჩვენ ხომ იმისთვის ვარსებობთ, რომ მას სწრაფ ზრდასა და პროგრესში დავეხმაროთ.

ვასრულებთ კი ჩვენს მისიას?

(გაგრძელება იქნება)

PRZEGLAD SPORTOWY · Sport · SPORTSKE NOVOSTI · Népsport · sportowiec · Советский спорт

## „სნაიპერთა კლუბი"

ჩეხოსლოვაკიაში დაარსდა იმ ფეხბურთელთა კლუბი, რომლებმაც ეროვნულ ჩემპიონატებში 100 და მეტი გოლი გაიტანეს.

I ადგილზეა პრაღის „სლავიის" მოთამაშე 30-50-ან წლებში ი. ბიკანი. მან ამ კლუბში ათასზე მეტი მატჩი ჩაატარა და 218 ბურთი გაიტანა. ამჟამად მოთამაშე ფეხბურთელთაგან ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვს ტრნავის „სპარტაკისა" და ნაკრების ცნობილ ფეხბურთელს ი. ადამეცს — 157 ბურთი. საეჭვოა, რომ ადამეცი დაემუქროს ბიკანის რეკორდს.

## უველს ჰქვია „პელე"

ერთმა ბრაზილიელმა მრეწველმა თავის პროდუქციას — ყველს „პელე" დაარქვა. ყველი მრგვალი ფორმისაა, შუაში კი მოზრდილი ცარიელი ადგილი აქვს. არავინ იცოდა ამ სიცარიელის მნიშვნელობა, მრეწველმა კი იგი ასე განმარტა: „თუ პელე მსოფლიო ჩემპიონატში თამაშზე უარს იტყვის, ჩვენს ნაკრებს ცენტრში სწორედ ასეთი ცარიელი ადგილი ექნება".



## თამაშს ვერ ელევა

მხედველობის მკვეთრი დაქვეითების გამო, როგორც ცნობილია, განთქმულმა ინგლისელმა მეკარემ გ. ბენქსმა შეწყვიტა თამაში და „სტოკ სიტის" ერთ-ერთი მწვრთნელი გახდა. მაგრამ ბენქსი მაინც ვერ ელევა პრაქტიკულ თამაშს. გამოცხადდა, რომ აპრილიდან იგი მონაწილეობას მიიღებს ხანგძრძლივ, ოთხთვიან ტურნირში, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართება. ბენქსი ამერიკულ კლუბ „სიტლ"-ში ითამაშებს.

## ეტყობა, გაასწრებს...

ფეხბურთის მიმომხილველებს დიდ მიღწევად მიაჩნიათ ეუსებიოს 40 გოლი პორტუგალიის 1972-73 წლების ჩემპიონატში, მაგრამ ამ რეკორდს მოულოდნელად საფრთხე დაემუქრა. საქმე ისაა, რომ საუკეთესო სნაიპერის თვისებები გამოიჩინა ლისაბონის „სპორტინგში" მოთამაშე პარაგვაელმა იაზალდემ. ჩემპიონატის დამთავრებამდე 8 ტურით ადრე მან უკვე გაიტანა 35 ბურთი და, მიმომხილველთა აზრით, ეტყობა, მოხსნას უპირებს ეუსებიოს შარშანდელ რეკორდს.

## ფრანგები ანახლებენ შემადგენლობას

ცნობილი რუმინელი სპეციალისტი შ. კოვაჩი დიდი მონდომებით მუშაობს საფრანგეთის ნაკრებთან. ამ გუნდის ძველი შემადგენლობა კოვაჩმა თითქმის მთლიანად დაითხოვა და ახალგაზრდებს მოუყარა თავი. კოვაჩს მიაჩნია, რომ ევროპის მორიგ ჩემპიონატში ფრანგები უხეიროდ არ უნდა გამოვიდნენ.

კოვაჩმა საწვრთნელი მატჩების სერია დაგეგმა. 19 მარტს ფრანგები პარიზში მიიღებენ რუმინეთის ნაკრებს, 23 აპრილს კი — ამსტერდამის „აიაქსს".

იტალიის პრესის მასალებიდან

## ზაგალო: „მიუნხენში ბრაზილია გაიმარჯვებს"

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელისა და სელექციონერის მარიო ზაგალოს აზრით, გფრ-ის მსოფლიო ჩემპიონატში მისი გუნდი გაიმარჯვებს.

ეს პროგნოზი არ გახლავთ, ვინაიდან ზაგალომ საგანგებოდ აღნიშნა, სპორტულ წინასწარმეტყველებაში მაინცდამაინც ძლიერი არა ვარო. ესაა შინაგანი რწმენა, რომელიც მწვრთნელს უფლებას აძლევს ილაპარაკოს ბრაზილიის გამარჯვებაზე.

როცა ჟურნალისტებმა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის სავარაუდო შედეგებზე აზრის გამოთქმა სთხოვეს, ზაგალო დიდხანს ყოყმანობდა, თანაც ხაზგასმით აღნიშნა — ჩემს ნათქვამს დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ, რამდენადაც პროგნოზების მიმართ იდიოსინკრაზიას განვიცდიო.

მიუხედავად ამისა, ზაგალომ მაინც დაასახელა ფავორიტები. პირველი ჯგუფიდან მან გამოყო გფრ-ისა და გდრ-ის გუნდები, რომლებსაც დიდი შრომა არ დასჭირდებათ წინასწარი თამაშების წარმატებით ჩასატარებლად. იგივე თქვა მან მეორე ჯგუფში შემავალ ბრაზილიის გუნდზე. დანარჩენ ორ ჯგუფში ზაგალომ უძლიერესებად დაასახელა იტალიისა და პოლონეთის, ბულგარეთისა და ჰოლანდიის გუნდები.

„რასაკვირველია, ეს მხოლოდ ჩემი პირადი შეხედულებაა, — დასძინა ზაგალომ, — ვინაიდან, ვიმეორებ, პროგნოზებში არასდროს ვყოფილვარ ძლიერი".

მწვრთნელი ისევ უბრუნდება მსოფლიო ჩემპიონატს, რომლის მოგებასაც აპირებს, და ამბობს: „ვინაიდან ოპტიმისტი ვარ, ვიცი, რომ უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოგვიწევს. როცა ნაკრების მწვრთნელად მიმიწვიეს, ისეთ სირთულეებს წავაწყდი, რომ მეგონა ვერ გავუმკლავდები-მეთქი, მაგრამ მერე ყველა სიძნელე გადავლახე. მე მიჩვეული ვარ ყოველგვარ დაბრკოლებებს".

მიუხედავად ამისა, ფეხბურთის სპეციალისტთა შორის არსებობს აზრი, რომ ბრაზილიის ნაკრები დღეს ის დაუმარცხებელი გუნდი აღარ არის, ოთხი წლის წინათ რომ იყო, როცა მას პელე და ტოსტაო მეთაურობდნენ. ფეხბურთის სცენიდან ამ დიდოსტატების წასვლის შემდეგ ბრაზილიის ნაკრების სიძლიერემ საგრძნობლად იკლო. ეს დაადასტურა ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკაში გამართულმა ტურნემაც.

თარგმნა მ. ბარამიამ.

13/VI — 7/VII WM-74

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელეფონით

# პირველ პრიზს გაფრინდაშვილს ველარავინ შეეცილება

ბელგრადში მიიწურა 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო ტურნირი. კვირას გაიმართა ბოლოსწინა, XII ტური. აი, რა უამბო ტელეფონით „ლელოს" კორესპონდენტს მსოფლიოს და სსრ კავშირის ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა:

— თეორიულად, პირველი პრიზის მოპოვებაში ჩემთვის მხოლოდ იუგოსლავიის ჩემპიონს კალხბრენერს შეეძლო მეტოქეობა გაეწია. ამიტომ მასთან თამაშისთვის მონდომება არ დამიკლია და გავიმარჯვე კიდეც. ახლა უკვე ველარავინ დამეწევა, დასკვნითი ტურის შეხვედრის შედეგის მიუხედავად.

უნგრელი ვერეცი შტადლერთან (იუგოსლავია) ყაიმს დასჯერდა. ყაიმზე შეთანხმდნენ, აგრეთვე, პიხაილიჩი (იუგოსლავია) — მედიანიკოვა (სსრ კავშირი), მარკოვიჩი (იუგოსლავია) — ვოკრუალოვა (ჩეხოსლოვაკია), ვასნეცკი (გფრ) — ლაზარევიჩი, სებრიჩი — ბოჟკოვიჩი (სამივე — იუგოსლავია). რაძიკოვსკამ (პოლონეთი) მოუგო იოვანოვიჩს (იუგოსლავია).

ლაზარევიჩი გადადებულ პარტიებში თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეუთანხმდა ვოკრუალოვას, მარკოვიჩსა და მედიანიკოვას.

12 ტურის შემდეგ მე 10,5 ქულა მაქვს, ვერეცის — 8,5, შტადლერს — 8.

20 მარტს დილით დასკვნითი, XIII ტური გაიმართება. მე რაძიკოვსკას ვეთამაშები.



ალბათ იცანით მსოფლიოს და სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი. სურათი გადაღებულია სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის დღეებში, როცა ტურნირის მონაწილეები შინ ეწვივნენ საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს კობა გურულს. ბევრ მოჭადრაკეს უწინაც ჰქონდა ნანახი ჰედურობის ქართველი დიდოსტატის ნამუშევრები, მაგრამ თავად მას არ იცნობდნენ.

კობა გურულმა გულითადი მასპინძლობა გაუწია სტუმრებს, დაათვალიერებინა თავისი კომპოზიციები, ახალი ნამუშევრები, მერე კი ჭადრაკის დედოფალს ერთი სურათიც „გამოაჭედინა". სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი ე. გიგილაშვილის მიერ გადაღებულ ფოტოსურათზე.

# 1975 წლის 1 ივნისს

ორიოდე დღის წინათ ამსტერდამში გაიმართა ფიდე-სთან არსებული ჭადრაკში მსოფლიო პირველობის გათამაშების სპეციალური კომიტეტის სხდომა. კომიტეტმა განიხილა მსოფლიო პირველობაზე 1975 წლის მატჩის რეგლამენტის საკითხი.

მატჩი მსოფლიო პირველობაზე დაიწყება 1975 წლის 1 ივნისს. კომიტეტმა გაითვალისწინა რ. ფიშერის ჭირვეულობანი 1972 წლის მატჩში და გამოაცხადა, რომ პირველ პარტიაზე მსოფლიო ჩემპიონის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მას ავტომატურად ჩამოერთმევა წოდება და ჩემპიონად პრეტენდენტი გამოცხადდება.

კომიტეტმა უარყო აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციისა და რ. ფიშერის წინადადება, რომ მატჩი ათ მოგებულ პარტიამდე გაგრძელდეს და საყაიმო ანგარიშის (9:9) შემთხვევაში ჩემპიონმა ტიტული შეინარჩუნოს. კომიტეტმა ძალაში დატოვა ფიდე-ს მიერ 1971 წელს მიღებული გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია, რომ მატჩი გაგრძელდება ექვს მოგებულ პარტიამდე (ყაიმების ჩაუთვლელად) შეხვედრათა რაოდენობის შეუზღუდავად.

მატჩის მასპინძელი ქვეყანა 17 თებერვლამდე უნდა დადგინდეს. ფიდე-ს პრეზიდენტმა შესაბამისი გადაწყვეტილება რომ მიიღოს, საჭიროა მას დროულად აცნობონ ჩემპიონისა და პრეტენდენტის შეთანხმება, თუ სად სურთ თამაში. შეუთანხმებლობის შემთხვევაში ფიდე-ს პრეზიდენტს უფლება აქვს პირველი 15 პარტია დანიშნოს ჩემპიონის სამშობლოში — ამერიკის შეერთებულ შტატებში, დანარჩენი პარტიები (ერთკვირიანი შესვენების შემდეგ) კი პრეტენდენტის სამშობლოში — სსრ კავშირში.

პრეტენდენტი ვალდებულია 1975 წლის 31 მარტამდე აცნობოს ფიდე-ს თანხმობა მატჩში მონაწილეობაზე.

კომიტეტმა მატჩის რეგლამენტიც შეიმუშავა. კვირაში სამი პარტია გათამაშდება. ყოველი პარტიის შემდეგ მოეწყობა შეხვედრა გადადებული პარტიის დასამთავრებლად. თუ გადადებული პარტია არ იქნება, მეტოქენი იმ დღეს დაისვენებენ. მონაწილეებს ავადმყოფობის მიზეზით სამი პარტიის გამოტოვება შეუძლიათ, ოღონდ ეს უფლება პირველ პარტიაზე არ ვრცელდება. მეტოქეებს არ შეუძლიათ მატჩში თამაშზე უარი თქვან, თუ ფიდე-ს მიერ დაწესებული საპრიზო ფონდი არ მოეწონებათ.

მატჩს სამი მსაჯი ეყოლება, სამივე ნეიტრალური ქვეყნებიდან.

ფიდე-ს სპეციალური კომიტეტის ამ გადაწყვეტილებებს კანონის ძალას მისცემს ფიდე-ს კონგრესი, რომელიც XXI საჭადრაკო ოლიმპიადის დროს (1974 წ. ივნისი) ნიცაში გაიმართება.

# „დრაკონი" დრუბლებში



შვეციაში „დრაკონს" ეძახიან დიდ ფრანს, რომელსაც დელტისებური ფრთები აქვს. ამ საფრენი აპარატის ადგილობრივი ვარიანტის ფრთების ფართობი 15,4 კვადრატული მეტრია. ჩარჩო დამზადებულია დურალუმინის თამასებისგან, ხოლო „ქობები" — მაგარი სინთეტური ქსოვილისგან.

სპორტსმენი მაღალი მთიდან თხილამურებით იღებს სტარტს, ამწევი ძალით ფერდობს სწყდება და რამდენიმე ასეულ მეტრზე მიფრინავს.

ე. ლევინა.

ფოტო გაზეთ „ექსპრესენიდან" (შვეცია).



### მძლეოსნობა

ნიუ იორკი. კიდევ ორმა მსოფლიო რეკორდსმენმა დატოვა სამოყვარულო სპორტი და პროფესიონალებში გადავიდა. ესენი არიან 3000 მეტრზე წინაღობებით რბენის ოსტატი ბ. ჯიპჩო (კენია) და 110 მეტრზე თარჯრბენში უძლიერესი რ. მილბერნი (აშშ), რომლებიც ამას წინათ იუნიედეილში პირველად გამოვიდნენ პროფესიონალ მძლეოსანთა ასოციაციის შეჯიბრებაში. ჯიპჩომ მოიგო 2 მილზე ასპარეზობა — 8.34,0. მილბერნი პირველი იყო 60 იარდზე თარჯრბენში — 6,9 წამი.

ადის-აბება. ეთიოპიის იმპერატორ სელასიე I მითითებით აქ აიგება ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ა. ბიკილას სახელობის სტადიონი. სტადიონზე გამართულ შეჯიბრებათა შემოსავლის ნაწილი ბიკილას ოჯახს გადაეცემა.

### ცურვა

ბრემენი. მოცურავეთა XVII საერთაშორისო ფესტივალში, რომელშიც 12 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ, ამერიკელმა ქალმა ჰ. გრინვუდმა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა 25-მეტრიანი აუზებისთვის — 8.49,29. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში კ. შტაინბახმა გფრ-ის მიღწევა გააუმჯობესა—2.08,57.

### სხვადასხვა

კანბერა. ავსტრალიის ეს ქალაქი არჩეულია წყნარი ოკეანის მორიგი თამაშების ცენტრად. ქვეყნის მთავრობა თანახმაა დაიწყოს მშენებლობა სტადიონისა, რომელიც საექსპლოატაციოდ თამაშების წელს (1977) გადაეცემა.

# ერთ გარბენში...

საქვეყნოდ ცნობილმა ბელგიელმა მძლეოსანმა ემილ პუტემანსმა, რომელიც საშუალო მანძილებზე რბენაში რამდენიმე მსოფლიო რეკორდს ფლობს, პარიზში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში დარბაზებისთვის ორი მსოფლიო მიღწევა დაამყარა ერთ გარბენში. „დე პანტენის" სპორტული დარბაზის ტარტანის ბილიკზე 5000 მ მან 13 წუთსა და 24,6 წამში გაირბინა, რომლის დროსაც 3 მილის აღმნიშვნელ ნიშანზე მისი დრო იყო 12.58,9.

პარიზში ბელგიელს პრაქტიკულად მეტოქეები არ ჰყოლია: გარბენის დახარჯეხმა ხოხაჭილეებთა ძხოლოდ პირველ წრეებზე შეძლეს რეკორდსმენის მიერ შეთავაზებული მაღალი ტემპის შენარჩუნება.

პუტემანსს ეკუთვნის „საზაფხულო" მსოფლიო რეკორდებიც 3000 და 5000 მეტრზე, აგრეთვე, 3 მილზე (4827 მ) რბენაში.

გარბენის შემდეგ პუტემანსმა თქვა: რბენის დროს თავს ძალას არ ვატანდი და შესაძლოა სხვა პირობებში ეს რეკორდები გავაუმჯობესო 20 პროცენტით.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

### 22-31 მარტს

დაბა ბაკურიანში საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულ ბაზაში ჩატარდება ბალახის ჰოკეისტების მწვრთნელთა რესპუბლიკური სემინარი.





გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57. პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52. მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სტუდენტის ახალგაზრდობის განყოფილება — 93-97-55. სპორტული განყოფილება — 99-56-47 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება—99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება—93-97-51. წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია— 93-97-58 გამომშვები—93-93-81 კორექტორები — 93-97-49.